№ 242. 1 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866—1883 1 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 242.

დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

ზამთრის ჟოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მოიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გოგრში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	— — 9 მან.	6 თვით	— — 5 მან.
11 თვით	— — 8 მ. და 50 კ.	5 თვით	— — 4 მ. და 50 კ.
10 თვით	— — 8 მან.	4 თვით	— — 4 მან.
9 თვით	— — 7 მ. და 50 კ.	3 თვით	— — 3 მან.
8 თვით	— — 7 მან.	2 თვით	— — 2 მან.
7 თვით	— — 6 მან.	1 თვით	— — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

კიდევ ერთი საჭიროება კახეთისა

თბილისი, 30 ნოემბერი.

დღევანდელ ქრონიკაში წაიკითხავთ ერთ საყურადღებო ამბავს: კახეთში მამულების სიკოტავე ყველას გაგეგონებათ; გაგეგონებათ აგრეთვე, რომ მომეტებული ნაწილი კახელების საქონლისა ზამთარში იმ თვალ უწვდენელ მინდვრებზედა სძოვს, რომელსაც შირაქსა და ელდარს ეძახიან.

თუმცა დიდი ვიწროობაა, მაგრამ ერთი რამ აქეზებს კახელებს საქონლის გაჩენისათვის. ეს ის, რომ გვერდზედ მიგდებისა და სიშორის გამო კახური პური, ქერი, ხილი და სხვ. სრულიად უბრალოდ გაივლის ხოლმე და ხშირად ქალაქში ჩამოტანად არა ღირს. განსაკუთრებით ძვირფასი ნაწარმოები უნდა იყოს, რომ კახეთის გზის ხარჯს აუვიდეს და პატრონსაც არგუნოს რამე; ეს ნაწარმოები არის ღვინო და აბრეშუმი. თუ საქონელსაც არ არიდებენ ქალაქის ბაზარს, ეს იმიტომ, რომ საქონლის გადმორეკასაც ხარჯი არა უნდა-რა გარდა ორი-სამი მწყემსის დაქირავებისა. ეს არის, სხვათა შორის, მიზეზი, რომ კახელები საქონლის მოშენებას ძალიან მისდევენ, თუმცა საძოვარი ადგილის შოვნა უძნელდებათ. და აი ამ გაჭირვების დროს მეზობლად მდებარე ხსენებული შირაქისა და ელდარის მინდვრები დიდს სამსახურს უწევენ კახელებს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, გაუწევდენ, თუ რომ მათი სარგებლობა სხვა-და-სხვა უსაფუძვლოდ დადგენილი წესებით არ გაეძნელებინათ. საქმე ის არის, რომ იჯარით გაცემა შირაქისა და ელდარის საძოვარ ალაკებისა სამს წელიწადში ერთხელა ხდება და, როგორც მკითხველი ქრონიკიდამ დაინახავს, ამ წესსაც მკვიდრი საფუძველი არა აქვს, რადგან ის მამული, რომელიც სამის წლით შენი სრული სარგებლობის ქვეშ გეგონა, უეცრად ხელიდამ გეცლება და გიცხადებენ, წადი ეხლა სხვაგან მონახე მამული, ჩვენი ჩვენ გვინდა დაგვრჩესო. ეს კანონის გადაცილება ჩვენ დროებითი გვგონია და ამიტომ ამაზედ ხმას აღარ ამოვიღებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუნდა წესი არაფერში არ დარღვეულიყო, მაინც სამი წელიწადი ძალიან პატარა ვადად მიგვაჩნია იჯარით გაცემისათვის; საქონლის პატრონს მაშინ შეუძლიან თავისი ანგარიშები კარგად გასწიოს, და საქონლის მოშენებასაც უმატებს, როცა დარწმუნებული იქნება, რომ კარგა დიდი ხნობით მას საძოვარს ადვილს არავინ შეეცილება. თორემ, როგორ ივარაუდოს კაცმა თავისი საქმე, როცა კარგად იცის,—ორ-სამ წელიწადზედ ახალი ვადა დადგება და იქნება სრულიად უსაძოვროდაც დარჩეს. ამისგამო სამართლიანი იქნებოდა, რომ ვადა იჯარისა, რაც შეიძლება, მეტ ყოფილიყო, ხუთი წელიწადი, შვიდი, თუნდა ათიც და საშუალებაც ისეთი ეხმარათ, რომ საძოვარი ადგილები პირდაპირ საქონლის პატრონებს დარჩენოდათ და არა იმ «შუამავლებს» რომელნიც მხოლოდ იმიტომ იღებენ, რომ ერთს მხარესაც გამორჩენ რასმე და მეორესაც.

შინაური ქრონიკა

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ შემდეგს საყურადღებო ამბავს: «ამ გაზაფხულზედ მოხდა ვაჭრობა სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემაზედ შირაქის მინდორში. ვაჭრობის დროს ბევრმა კახელმა თავად-აზნაურმა ეს ადგილები თავიანთთვის დაინარჩუნეს იმ განზრახვით, რომ შემოდგომის პირში საძოვრად იქ თავიანთ ცხვარი და საქონელი გაეგზავნათ. როდესაც ამის სამზადისს შეუდგნენ თურმე, მივიდა ამბავი, რომ ვაჭრობა მოსპობილია და შირაქში ველარც ერთი ვერ გარეკავს ცხვარსა და საქონელს, თუნდაც რომ ვაჭრობაში ეს ადგილები დარჩენოდესო. ამ ამბავს ძალიან აუღელვებია ცხვრისა და საქონლის პატრონები, რადგან ზამთრის პირში სხვა საძოვრის ადგილების ძებნა, როდესაც საძოვარი ადგილები დაგულებულიც ჰქონდათ და კანონიერად ვაჭრობაშიაც დარჩენილი,— ძალიან გაუძნელდებოდათ და საშიშიც იყო, რომ საქონელი უპჭელობისაგან არ გაწყდომოდათ. ბევრნიან პირებს, კიდევ როგორც იყო, მოუხერხებიათ და, სამი წლის მაგივრად, ერთი წლით მაინც აუღიათ საძოვრები,....

ᲔᲠᲗᲘᲡ პატიეცემულს პირს ბურიაში გამოუცხადებია ალექსანდრე ეპისკოპოზისათვის, რომ ოღონდ აქ ცალკე ეპარხია კი დაწესდეს და მეორ-სართულიან სახლს შეევწირავ ოზურგეთში ამ საქმისათვისაო.

«ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ» სწერენ ბორიდამ, რომ ხმა ისმის—ჩვენი საოსტატო სემინაარიის დირექტორი სემენოვი სხვა ადგილზედ აპირობს გადასვლასაო.

ᲔᲠᲗᲘ პირი გვწერს შესახებ თბილისის აბანოებისა შემდეგს: აბანოები თუმცა ჯანის სიმთელისათვის სასარგებლონი არიან და ხალხსაც ძალიან უყვარს, მაგრამ კაცი ყოველთვის შიშშია, როცა აბანოებში შედის, რომ გადამდები სნეულება არა შემეყაროს-რაო. შეძლებულს ხალხს კიდევ შეუძლიან ცალკე ნომერი აიღოს და აუზში წყალი გამოაკელევინოს, მაგრამ ღარიბს კაცს შეიძლება ეს ბუნებრივი მოთხოვნილება ტანის გასუფთავებისა ძალიან ძვირად დაუჯდეს. ამას გარდა ფასები უწინ ისე მცირე იყო, რომ დაბალ ხალხს ადვილად შეეძლო აბანოებში სიარული და ეხლა კი, ფასების მომატების გამო, მას მოაკლდა ეს სიამოვნებაო. წინად სნეულთათვის სხვა აუზები იყო დანიშნული, ჯან-მთელებისათვის —სხვა და არავის არ შეეძლო აბანოების წეს-წყობილების დარღვევა და აკრძალულს აუზში ბანებაო. ძარგი იქნებაო, რომ ქალაქის საბჭომ გაუჩინოს აბანოებს უწინდელებური წეს-წყობილება, დანიშნოს განსაკუთრებული ექიმი სნეულების შესამოწმებლად და ახლანდელი მაღალი ფასები ცოტათი მაინც არის შემცირებინოსო.

28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ერთს კერძო სახლში ყოფილა წარმოდგენა ერთის ღარიბი მოსწავლე ყმაწვილის სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ პირველი მოქმედება საგარლის პიესისა: «რაც გინახავს, ველარ ნახავ» და მისიე «ბაიყუში». წარმოდგენას, როგორცა გვწერენ, კარგად ჩაუელია, განსაკუთრებით კარგად თამაშობდენო ქ. საფაროვისა, შემდეგ ქ. მძინაროვისა და ჩინებულად იმღერაო ანდრონიკაშვილის ქალმაო. წერილის ავტორი განსაკუთრებით აქებს მოთამაშეთა თანაგრძნობას ყოველი კეთილი საქმისადმი.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 28 ნოემბერს, ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა—ითხოვოს ნება 800,000 მანათის ობლიგაციების გამოცემის ქალაქში გაყვანისათვის.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ მეტად სამწუხარო და მძიმე ამბავს, რომელიც მომხდარა ბეჭათუბანსა და ფონის შუა რკინის გზაზედ, 26 ნოემბერს. ოთქლის მატარებელი მაშინიდგან გადმოვარდნილა ძირს კონდუკტორი იაკობ ზახაროვი და ერთიან დაჩეხილა, რადგან ზედ გადაუვლია პოეზდსა. დოქტორის შემოწმება მეტად უნუგეშოა: ისე დამტვრეულა ეს ლუკმა პური მსხვერპლი ადამიანი, რომ მისი სიცოცხლე საეჭვოა თურმე.

რასაკვირველია, ამისთანა ამბავი საზოგადოდ ისე გახშირებულია ჩვენ დალოცვილ რკინის გზებზედ, რომ მიჩვეული ყური მაგრე რიგად არავის შაებღერტება, მაგრამ ხანდისხან იმ გვარი ანდამატებით არის ხოლმე შემკული ასეთი უბედური მოვლენანი, რომ ძალა-უნებურად მიაქცევ ყურადღებას, გაშტერებული და განცვიფრებული, თუ სადამდის გასტანს პატარა კაცის დაბრიყვება და წინ-დაუხედველი დაჩაგვრა. აქაც იმივე ანდამატზედ იწერება ჩვენი კორესპონდენტი: საბრალო ზახაროვი თურმე იმიტომ გადმოვარდნილა, რომ თავის საყარაულოში ჩასძინებია, და ჩასძინებია კიდევ იმიტომ, რომ ხუთი დღისა-და-ღამის უძილო გალახული ყოფილა. რათა? იმათა, რომ იმ დღეებში პოეზდები ბევრი ყოფილა დანიშნული და მოსამსახურე კი არა ყოფილა საკმაო!...

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲓᲐᲛ გვწერენ: ამ მოკლე დროს სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში გაიხსნა სახელოსნო განყოფილება: დურგლობისა და წი-

ების ყდების განკეთების. ეს განყოფილება ძალიან საჭირო იყო ამ სასწავლებლისათვის იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი მოსწავლეთა არის სოფლებიდამ, ან გლეხებისა ან ღარიბი მღვდლების და დიაკვნების შვილები, რომლებიც შეუძლებლობისაგამო ვერ ათავებენ კურსს და, ან თუ ათავებენ, ვერსად მიდიან სწავლის გასაგრძელებლად, რის გამოც რჩებიან შინ უსაქმოდ. ეი ამიტომ გულ-მოდგინებით მოეჭიდა ამ საქმეს ამ სასწავლებლის მმართველობა და გახსნა ეს განყოფილება, რომ სასწავლებლიდგან გამოსულ სოფლელ ყმაწვილს კაცს გაუჩინოს საქმე. თვითო ხელობის შესასწავლელად დანიშნულია ოთხ-ოთხი წელიწადი; იმედია, ეს განყოფილება შეასრულებს თავის დანიშნულებას და მისცემს მოსწავლეს საქმის საკმაო ცოდნას.

ᲓᲦᲔᲡ «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» რედაქციის ზალაში ჩვეულებრივი ტერმინების კრებაა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

—

თქვენი პატივცემული გაზეთის № 199-ში წავიკითხეთ ბ. თბილისის გუბერნიის მარშლის მიწვევა თავად-აზნაურთა, განსვენებული თ. ბ. Ორბელიანის ძეგლის აგებაზედ მოსალაპარაკებლად. Ყველას, ვისაც კი ცოტათი მაინც უყვარს საშობლო და მისნი მოღვაწენი, უეჭველია, ესიამოვნებოდა ბ. მარშლის მიწვევა და ისურვებდა კიდეც მის კეთილად დაგვირგვინებას; უფრო იმიტომ, რომ განსვენებულს თ. ბ. Ორბელიანს, მაღალ ნიჭიერ პოეტს და მამულიშვილს, საკმარი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე. ᲓიდᲐᲓ და დიდად სასიხარულოა, რომ ბ. მარშალმა ამოდ არ ჩაატაროს ეს მოწვევა და დააგვირგვინოს ეს საქმე, მაგრამ, არ ეიცით, გაუგონია ბ. მარშალს ძველებური და გონიერული ანდაზა: «ᲯᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲪᲝᲚᲝ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲝᲕᲝ», თუ არა? ბ. გუბერნიის მარშალი მოვალეა არ დასტოვოს უყურადღებოდ ის შემთხვევა, რომელსაც ყოველთვის ვერ ველირსებით და რომელსაც შეუძლიან დიდი სარგებლობა მოგვიტანოს, თუ ყური მახვილად გვექნება.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» მკითხველმა კარგად იცის, რომ ამას წინად ჩვენ გვეწვია გზათა მინისტრი, რომელსაც ჩვენმა წარმომადგენლებმა სთხოვეს ქახეთში რკინის გზის გაყვანა. მკითხველს ისიც ეხსომება, რომ გზათა მინისტრმა უთხრა მთხოვნელებს: «უკეთუ თქვენ თხოვნას დაუმატებთ, რომ ქახეთის რკინის გზა გაიელის უმთავრეს ალაგზედ და მის გაყვანაში საზოგადოება ცოტა რამ შემწეობას ამოუჩენს მთავრობას, ე. ი. ალაგს მუქთად დაუთმობს და ქვას და ქვიშას შეაწევს, მაშინ სამინისტრო ვალდებული გახდება, უეჭველად მალე აღასრულოს თქვენი თხოვნაო». როგორც მკითხველი ხედავს, მინისტრის სიტყვებიდამ სჩანს, რომ ჩვენი მშვენიერი ქახეთი მალე ელირსება რკინის გზას, თუ საზოგადოება მოეკიდება მას გულ-მხურვალედ. ბ. გუბერნიის მარშალი მოვალეა სწორედ ამ საგნის შესახებ შეჰყაროს თავად-აზნაურობა, რაც შეიძლება მალე, მინამ ჯერ კიდევ ეს საქმე ღვივის, თორემ თუ ცოტა დრომ გაიარა, შენი მტერი, მოვიგონებთ ძველში და რბილში გამჯდარ მიეიწყებას და ისე მივიწყებთ ქახეთის რკინის გზას, როგორც შარშანდელ თოვლს. ᲕᲘᲡ არ ახსოვს წარსული თავად-აზნაურთა კრების გადაწყვეტილება? ᲕᲘᲜ არა ჰხედავს, აგრეთვე მის გვერდზე მიგდებას და დავიწყებას? ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ესრეთივე იღბალი მოელის ქახეთის რკინის გზასაც და ეს არც გასაკვირვალია. მაშრა არის, თუ არ უბედური იღბალი ქახეთის რკინის გზისა, რომ ბ. მარშალი, მგონი, ეს მესამედ იწვევს თავად-აზნაურთ განსვენებულის თ. ბ. Ორბელიანის ძეგლის აგების შესახებ და მინისტრის სიტყვები კი დარჩა, როგორც კედელზედ მიყრილი ცერცვი. ქახეთის რკინის გზის მნიშვნელობაზედ აქ არ დავიწყებ ლაპარაკს, რადგანაც უიმისოთაც ბევრი იყო ნათქვამი «ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ»; მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ქახეთის მატერიალური მხრით გაუმჯობესება შეუძლებელია, მინამ ქახეთს არ ელირსება ხეირიანი გზა, რის შემწეობითაც კახელებს შეეძლოთ თავიანთ მოსავალი თვითონვე წაიღონ, სადაც რაგია გასასყიდად.

ᲐᲒᲔᲠ ერთ თვეზედ მეტია, რაც ღვინოები დადგა ქახეთში და მრავალი ღვინოებია ჯერ კიდევ გასასყიდი. რა არის მიზეზი ღვინოების გაუყიდველობისა? პირველი უგზოობა, რადგან ეხლანდელ გზაზედ წაღება თბილისში ერთი-ორად ჯდება და ძნელიც არის. მეორედ, ვაჭრების ვარაუდი გახლავთ. მათ კარგად იციან, რომ ღვინის გაყიდვას კახელები სულის სისწრაფით ელოდებიან, მაგრამ ამასთან ისიც უნდათ, რომ ფასში გაჰყიდონ. ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ კი შორიდან უყურებენ და იქამდინ მიჰყავთ ხალხი, რომ გაჭირვებულებმა იაფად მისცენ. ᲒᲐᲜᲐ კახელებს რომ რკინის გზა ჰქონდეთ, ესე ივაგლახებენ ღვინის გაყიდვაზედ?

ᲕᲘᲜ უნდა იზრუნოს ყოველ ამ სენის თავიდამ მოშორებაზე? ᲕᲘᲜ უნდა ეცადოს, რომ საზოგადოების ვარამს წამალი დაადოს? რასაკვირველია, საზოგადოების მმართველმა და წინამძღომელმა. ბ. მარშალი მოვალეა ყოველ საზოგადოების... შეძლების-და-გვარად წამალი დასდვას. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ანდობს თავის თავს საზოგადოება მარშალს, რომ იგიც გაჭირვებაში წაეხმაროს.

ᲩᲕᲔᲜ სრულიად წინააღმდეგნი არა ვართ განსვენებული თ. ბ. Ორბელიანის ძეგლის აშენებაზე, მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ყველას თავის დრო უნდა ეტყობოდეს. მე გავიგე ბევრი დარბაისელი თავადისგან, რომელთაც კი წაეკითხნათ ბ. მარშლის მოწვევა: «ᲕᲐᲥᲝ! ᲗᲣ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ,... ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲣᲓᲒᲐᲗ: ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔᲡ, ᲨᲝᲗᲐᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ და სხვებს, რომელთ სახელს ისტორია არასდროს არ დაივიწყებს, როგორც საუკეთესო გმირთა და დიდებას სამშობლოისა».

ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲝᲗ თავი ძეგლებს, სხვა უფრო თვალ-საჩინო ნაკლულევანება გვაქვს, რომლის აცილება ისევ ჩვენთვის საჭირო, როგორც მშიერი კაცისთვის პური. ᲗᲕᲘთ ბ. მარშალმა ძლიერ კარგად იცის, რომ სექტემბერში... ჩვენი შვილები არ მიიღეს სასწავლებელში უალაგობის გამოო; რამდენი ნორჩი ყმაწვილი აფრქვევს განუწყვეტელად ცრემლებს უმანკო თვალებიდგან, რომ არ მიმიღესო; ბრუნდება შინ უბედური და ვინ იცის, როგორ ჩარხზედ დატრიალდება მისი მომავალი ცხოვრება.

ი. კახელი.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲠᲮᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡᲐ

თქმული თავადი დიმიტრი დავითის ძის ჯორჯაძის დასაფლავებაზედ 1883 წ. 13 ნოემბერს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში სოფელს ესესელს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ, ᲛᲐᲛᲘᲡᲐᲗᲐ, ᲓᲐ ᲫᲘᲡᲐᲗᲐ, ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐᲗᲐ.

მოგვდით, ერნო მორწმუნენო, დასასრულისა ამბორის ოფივ მივსცეთ მკვდარსა და ვმადლობდეთ ღმერთსა.

განუსაზღვრელმან და მიუწთომელმან განგებულებამან ღვთისამან ესრედ გვქმნა ჩვენ, კაცნი, ძმანო ქრისტიანენო,—რაც უნდა დიდ და სახელოვან, რაც უნდა მსნე და ძლიერ ვიყენეთ ამა სოფელსა, ჩვენთვის განმზადებული სადგური, რომელისადმი გვიწევს ჩვენ ბუნება, არის მიუცილებელი ესე სამარე, რომელმანც უნდა მიიღოს დღეს გვამი ამა მდებარისა ბრწყინვალის თავადის დიმიტრისა.

ᲝᲗᲮᲔᲚᲘᲗᲔ ᲐᲛᲐᲝ ᲐᲠᲡ, ᲝᲗᲮᲔᲚᲘᲗᲔ ᲐᲦᲘᲡᲬᲝᲤᲔᲡ, ᲝᲗᲮᲔᲚᲘᲗᲔ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲡ, რაიცა გვაქმნიეს ჩვენ ქვეყნიერისა ჩვენისა ცხოვრებისათვის. ᲔᲠᲗᲘᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡᲐ, ᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲐᲠᲡ და არ დაიფლეის ჩვენთან სამარედ. ჩვენა ვართ შექმნილნი სახედ ღვთისა, კეთილნი, უმანკონი სულით. რამდენათაც უფრო დაუახლოვდებით კეთილსა წუაროსა ღვთაებისასა, იმდენად უფრო ვართ დირსნი ქვეყნიერისა სხოვნისა და ზეციერისა ცხოვრებისა.

ᲝᲗᲮᲔᲚᲗᲘᲡ, როცა მწუხარება ამა ქვეყნისა მოგვიწვევს ჩვენ ტაძრად ღვთისა უკანასკნელისა ამბორისათვის, ვითარცა მოგვითხრობს ჩვენ ეკლესია, ჩვენ უნდა მოვიგონოთ ესე მცნება. ამ გვარად სიკვდილიც იქმნება ჩვენთვის მასწავლებელი უველაზედ უფრო დიდი, უველაზედ უფრო მკვიდრი სიცოცხლის გზის მაჩვენებელი.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ და განსვენება ისეთის კაცისა, როგორიც იყო ამა მდებარე თავადი დიმიტრი, ბევრს რასმე გვასწავლებს ჩვენ. როგორ განვლო, ძმანო, ამ კაცმა ცხოვრების გზა? მან მიმოვლო მთელი ჩვენი მხარე კიდიდგან კიდედმდე ზღვათა, იგი იღვწოდა მმართველობის ასპარეზზედ უმდაბლესის თანამდებობიდგან უმაღლესს თანამდებობამდის. მას ვხედავთ ჩვენ ჯერ სიუმაწვილეშიეე გამგედ ამა თელავის მაზრისა, რომელსაც მსახურა მან სასარგებლოდ; შემდეგ, როდესაც მთავრობამ დაუთვალა მისი ღვაწლი და ნიჭი, იგი დანიშნულ იქმნა შორის ქრისტეს სარწმუნოებით გაუნათლებელთა სალხთა ჯერ ჭარ-ბელაქანში და დასასრულ დაღესტანში. ვის არ სმენია, ძმანო, რა რიგის თავ-განწირულებით, რა რიგის სიყვარულით და კაცთ-მოყვარეობით მსახურა მან, ერთად სასიქადულოთა საქართველოს თავადთა—განსვენებულის გრიგოლ ორბელიანის და ლევან მელიქიშვილისა საქმესა სასარგებლოსა, საქმესა წმინდასა—კავკასიის უკანთა ადგილთა შინა მცხოვრებთა შორის სამოქალაქო წესის დამყარებასა? ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენის სარწმუნოების და მთავრობის წინააღმდეგ განბორტებული ლეკთა სარდალი შამილი ომობრებდა და იკლებდა ჭარ-ბელაქანსა და კახეთის სოფლებსა; ეს ის დრო იყო, როდესაც განჭვინებულთა შამილის მხედრობათა ტეტხლითა დასწვეს წინანდალი და წარტყვევნეს პატივცემულნი სახლობანი თავადთ ჭავჭავაძისა და ორბელიანისა. არამცთუ აქ—კახეთში, არამედ მთელს საქართველოში და საქართველოს გარეთაც ამა სახლობათა დატყვევებამ შეაწუხა საზოგადოება. განსვენებული თავადი დიმიტრიც თანაზიარი იყო ამა საზოგადო მწუხარებისა და სტდილობდა დაეხსნა მწუხარებით აღვსილნი სახლობანი. ამ კერძო, მაგრამ საზოგადოდ საგულისხმო საქმეშიაც იხილეთ განსვენებულის კაცთ-მოყვარეობა და კეთილი გული.

შემდეგ მშვიდობის დამყარებისა განსვენებულმა თავადმა დიმიტრიმ უფრო ცხადად გამოიჩინა თვისი კაცთ-მოყვარეობა.

ᲣᲪᲮᲝᲕᲚᲗᲐ და გაუნათლებელთა მკვიდრთა დაღისტნისა და ახლოთა ადგილთა სხვანი ექტეოდენ მკაცრად და მოქმედებდენ მათზედ შიშითა, ხოლო განსვენებული ეშურობოდა ალერსითა და სიყვარულითა, რომელისაგამო ამ ამყოთა და უვიცთა სალხთა შორის მან სამაგალითოს გონიერულის გამჭრიახობით დასდო დასასრული ბატონ-ყმობის განშორებას და მასთან თვით მებატონეთა, სანთა და ბეგთა შორის მიწის უფლებაზედ მოახდინა მათში დაზავება; რაისათვის მმართველი სამხედრო და სამოქალაქო უფლებათა დაღესტანში თავადი ლევან იავნეს ძე მელიქიშვილი უცხადებს მას მადლობას სახალხოდ ბრძანებითის ფურცლითა 1864-ს წელში. თქვენ თითონ იგულისხმეთ, კეთილს-მსახურნო მსმენელნო, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ქვეყნისთვის ამ გვარ კაცს, როდესაც იგი არის უმახლობე-

ლესი თანამშრომელი დალესტნის მმართველისა და შემდეგ თვით მმართველი ჩრდილოეთის დალესტნისა! სასიამოვნოა, ძმანო, ჩემთვის და საზოგადოთ ყველა ჩვენთვის, რომ საქართველოს შეილმა სარწმუნოებით და ტომობით უცხო თესლთა შორის დასტოვა კეთილი სსოვნა და სახელი.

შემდეგ, როდესაც იგი განსსვენდა გამოტდილებით და ჭკუით, მთავრობამ მიიწვია განსვენებული წევრად უმაღლესის სამოქალაქო დწესებისა კავკასიაში; ამ თანამდებობაში იგი იყო გულსადმთელის ჩვენის ქვეყნის სარგებლობისა.

ჩვენი ვალი არის კეთილის სიტყვით მოვისსენიოთ ყოველ გვარი დამსახურება, რომელიცა მიუძღვის განსვენებულს ჩვენის ქვეყნის სარგებლობისათვის. თუმცა იმა წარჩინებულად განტარებულის სამსახურისა და მისი სიკეთის საზომისა აღრიცხვა შეუძლოა ჩემგან, და შემოკლებულად წარმოვსთქვამ, მაგრამ როგორ მოვისადოთ ეს მოვალეობა, რა ერთი ღვწლისთვის კუთსრათ ჩვენ მადლობა ჩვენსა კეთილის მყოფელსა? ვინ არ იცით, ძმანო, ვინ იყო ჩვენი მშველელი, ვისთან მიკადოდით, ვის შეამდგომლობას ვეძებდით, როცა ჩვენ გვქონდა რაიმე საჭიროება უმაღლესს მთავრობასთან?! ვინ ზრუნავდა ქრისტიანობის გავრცელებისათვის, როგორათც გულსმოდგინე წევრი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებისა კავკასიაში?! ვინ იღვწოდა ჩვენის მეურნეობისათვის, ვინ შესწუსდა ყველაზედ უფრო და მიიღო ჯეროვანი ზომა, როდესაც დასავლეთით ეწვია ჩვენს ვენახს ახალი ჭირი ფილოქსერა?! ვინ იყო უმასლობელეს თანამშრომელად განსვენებულის თავადის გრიგოლ ორბელიანისა, როდესაც აღიმარა საქმე საქართველოს თავად-აზნაურობის ცხოვრების გაუმჯობესობაზედ?! ვის შესტკიოდა გული ათონის იკვრიის ქართველთ მონასტრისათვის. ვინ იყო გამგედ მახმადიანთა სასულიერობისა. ვინ იყო, დასასრულ, სულით და გულით კეთილის მოსურნე საქართველოსათვის?! იგივ და იგივ განსვენებული თავადი დიმიტრი...

ნეტარ არს, ძმანო, კაცი, რომელსაც რჩება ამა ქვეყნად ესოდენი კეთილი საქმე! ნეტარ არს იგი, რომელის ქვეყნიურს ცხოვრებას არ განუვლია ამოდ! ისწავლეთ, ძმანო, კეთილის კაცის ცხოვრებისაგან მოუვსთა სიყვარული, უანგარება, პატიოსნება და ერთგულება მამულისა. და კეკლესიისადმი შექმნილნი მიწისაგან, ჩვენ მიწადგე მიგიქცეკით და კაცად კაცადსა ჩვენგანსა მოეთხოვების ანგარიში თვისის ქვეყნიურის ცხოვრებისა. ეცადნეთ, ძმანო და დანო, წარსდგეთ ამა განკითხვისა წინაშე უტოდგელნი და უმწიკვლოვანნი. გზა კეთილ-მოქმედებისა არის გზა მადლობისა ჩვენდამი შთამომავლობათა და გზა ზეცათა სასუფეველისა.

მოვედით, ერნო მორწმუნენო, დასასრულისა ამბორის ყოფა მივსცეთ მკვდარსა და ვმადლობდეთ ღმერთსა... ნეტარ არს გზა იგი, რომელსაცა წარხვალ ღღეს, ძმაო დიმიტრი, რამეთუ განმზადებულ არს შენთვის ადგილი განსვენებისა. ამინ.

არითმეტიკის ტერმინები.

ვაცხადებთ ჩვენს გაზეთში არითმეტიკის ტერმინების სიას. როგორც ამას წინადაც იყო ნათქვამი, ვეხოვთ იმ პირთ, რომელთაც უკეთესი ტერმინები ეგულებათ, მომართონ რედაქციას და რედაქცია გადასცემს ტერმინების შესამუშავებლად დანიშნულს კრებებს. სამი-ოთხი თვის შემდეგ შესდგება საბოლოო კრება არითმეტიკის ტერმინების შესახებ, რომელსაც გადაწყვეტილი სიტყვა ეკუთვნის. ამ სიაში საუკეთესოდ ცნობილი ტერმინები სხვა შრიფტით არიან აწყობილნი, როდესაც ერთ რუსულ ტერმინს რამდენიმე ქართული ტერმინი უდრის.

Предметы однородные и разнородные—საგნები ერთგვარი და სხვა-სხვა გვარი.

Единица—ცალი, ერთეული, ერთაი, ერთადი, ერთა.

Числа отвлеченныя—რიცხვნი: ურომელო, არ სახელდებული, უსაგანო, ურქმეული, უსახელო.

Числа именованныя—რომლიანი, სახელდებული, საგანიანი, რქმეული, სახელიანი.

Числа цѣлыя—მთელი, მთლიანი, სრული.

Числа дробныя—წილადი, ნაწევარი, დანაწევრებითი.

Счисленіе, счетъ — აღრიცხვა, თვლა.

Словесное счисленіе—ზეპირი აღრიცხვა.

Письменное—წერითი.

Классъ—წყობა.

Разрядъ—რიგი.

Цифра—ნიშანი, ციფერი.

Числа однозначныя — ერთნიშნიანნი რიცხვნი.

Числа двузначныя—ორნიშნიანნი.

Числа многозначныя — მრავალნიშნიანნი.

Система—წესი, სისტემა.

Дѣйствіе—ქცევა, მოქმედება, წარმოება, ანგარიში.

Сложеніе—ჩათელა, მითვლა, შეერთება, შეკრება.

Вычитаніе—გამოთვლა, გამოკლება.

Рѣшеніе—გამოანგარიშება, გამორკვევა.

Умноженіе — მრავლება, გამრავლება.

Дѣленіе—გაყოფა, განაწილება.

Слагаемыя числа—რიცხვნი მისათვლელნი.

Сумма—ჯამი.

Плюсъ—ნიშანი მითვლისა, პლიუსი.

Задача—ამოცანა, აღმოცანა, გასარკვევი, სარკვევი.

Уменьшаемое—დასაკლები, მოსაკლები.

Вычитаемое—გამოსათვლელი, გამოსაკლები.

Разность — ნამეტური, ტოლმეტობა, მეტნაკლებობა.

Остатокъ—ნაშთი.

Повѣрка—შემოწმება.

Скобки—ფრჩხილები.

Измѣненіе—ცვლება.

Множимое—გასამრავლებელი, სამრავლი, სამრავლებელი.

Множитель—მამრავლებელი, მამრავლი, მომრავლე.

Произведеніе—ნამრავლი, ნაწარმოები.

Множители—მომრავლენი.

Производители—მწარმოებელნი.

Таблица—სქემა, ტაბულა, ტაბლაკი, სხვ.

Степень—სარისხი, ალმატება.

Показатель степени—მაჩვენებელი ხარისხისა.

Возвышеніе—აღმატება.

Дѣлимое—გასაყოფი.

Дѣлитель—გამყოფი.

Частное—ნაყოფი, განაყოფი.

Составное—შედგენილი.

Величина—სიდიდე, რაოდენობა, ზომიერობა, ოდენობა, ერცელობა.

Выраженіе—გამოხატვა, ნასახი, გამონასახი, წარმოდგინება, წინადადება, გამორკვევა, დასახულება.

Мѣра—საზომი, ზომვა, ზომა.

Длина—სიგრძე, მანძილი.

Поверхность—ზედა-პირი, ზესკნელი, ზენაპირი.

Площадь—სივრცე, ადგილი, სიპრტყე, სიფართოე, მოედანი.

Плоскость—სიპრტყე.

Раздробленіе—დაშლა, დაწვრილება, დანაწილება, დაწვრილმანება.

Превращеніе—გარდაცვლა, გარდაქცევა, აწყობა, შემოკლება, შედგენა.

Дѣлители—გამყოფნი.

Кратныя числа—ტერადი, ტერული, სწორ-სწორი.

Первоначальныя числа — მარტივნი, ერთებრივნი.

Дѣлимость—განმყოფელობა, განყოფადობა.

Признаки дѣлимости — ნიშანნი განმყოფელობისა.

Разложеніе — განწყობა, გაშლა, განმარტიება.

Точные дѣлители — სწორადი, განსაზღვრებითი, ზედმიწევნითი, სრული, ნამდვილი გამყოფნი.

Четныя числа—ლუწი რიცხვი, წყვილ-წყვილი, წყვილადი.

Нечетныя числа—კენტი.

Числа взаимно простыя—რიცხვნი ერთმანეთ შორის მარტივნი.

Дробь—ნაწევრი, წილადი, დანაწევრი, ნაწევარი, წილობა.

Происхожденіе — წარმომავლობა, წარმოდგომა.

Знаменатель—მაჩვენი, აღმნიშვნელი, მაჩვენებელი, მნიშვნელი, მანიშნებელი.

Числитель—საჩენი, აღმრიცხველი, მრიცხველი.

Неправильная дробь—არა ნამდვილი, უსწორო, უმართლო, დანაწევრი.

Правильная дробь—ნამდვილი.

Смѣшанная дробь—შერევნილი, შერეული, მთელი დანაწევრით.

Сокращеніе дроби—განმარტიება, შეკუმშვა.

Десятичная дробь — ნაათალი, ნაათადევი, ნაათევი, ათწილადი, ათეული, ათადი, ათური, ათეულობითი.

Періодическая дробь—პერიოდიული, განმეორებითი, იჯრული, რიგ-რიგობითი, რიგ-განმეორებითი.

Чистыя—დაბოლოებული.

Непрерывныя дроби — შეუწყვეტელი, დაუბოლოებელი, დაუსრულებელი, უსრული.

Отношеніе—შეწონება, შედარება, შეფარდება, ნადარი, შენადარი.

Пропорція—პროპორცია, თანშეზომილება, ულელი, პროპორცია.

Предъидущій членъ — პირველი წევრი, წინა წევრი.

Послѣдующій членъ — მეორე, შემდეგი წევრი.

Знаменатель отношенія—მნიშვნელი შედარებისა.

Обратныя другъ-другу—უკუღმა მოქცეული ერთი-მეორისა.

Прямое—წადმა, პირ-და-პირი, მიქცეული, სწორი.

(გაგრძელება)

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

29 ნოემბერს.

პეტერბურგი. გუშინ დაიწყო ქალაქების ურთიერთშორის ცეცხლისაგან მზღვეველ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. კრებაში 26 საზოგადოება იღებს მონაწილეობას.

პარიზი. დეპუტატთა პალატის გუშინდელს სხდომაზე ფერრიმ გამოაცხადა, რომ მმართებლობა ყოველი ღონის-ძიებით ცდილობს ჩინეთთან მორიგებას, მაგრამ ჩინეთის კაბინეტი, რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო-და-უფრო ბევრს თხოულობს და, ეს გარემოება აბრკოლებს მორიგებას; 5 ნოემბერს ძენგმა მოითხოვა, სონტოიზე და ბაკნინგზე ნუ მისდიხართო, მაგრამ, რადგანაც ამ მოთხოვნილებას არავითარი მორიგების საფუძველი არა აქვს, ამიტომ მისი დაკმაყოფილება არ შეიძლებაო. მოლაპარაკება ჯერ არ მოსპობილაო. რაც შეეხება ომს, ის არ გასცილებია იმ ადგილებს, სადაც ასტუდა, მაგრამ იმისათვის, რომ მოლაპარაკებამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, საჭიროა ზოგიერთა უფრო საჩინო სტრატეგიული ადგილების დაპყრობაო. ბოლოს ფერრიმ მოსთხოვა პალატას კაბინეტისადმი ნდობის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამოცხადება. ᲕᲐᲚᲐᲢᲐᲛ განიხილა ექსᲕედიციისათვის საᲭირო კრედიტის საქმე და 315 ხმის უმრავლესობით 200 ხმის წინააღმდეგ გამოაცხადა რწმუნება იმაზე, რომ მმართებლობა საკმაო ენერგიას გამოიჩენს და დაიცავს ტონკინში საფრანგეთის გავლენას და ᲕაᲭᲘᲝᲡნებას.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ᲕრიკაᲨᲩიკების დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელთ და ვაᲭრების დეᲕუტატთა იᲨუამდგომლეს უუწმინდესი სინოდის ობერ-Ვროკურორის წინაშე, რათა შეამცირონ ვაᲭრობის დრო უქმი დღეებში, ობერ-Ვროკურორი დაᲭᲘრდა, რომ ამ შუამდგომლობას ხელმწიფე იმᲕერატორს ვაცნობებო.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. სამხედრო სამსჯავროᲛ ორს რადიკალურ ცენტრალურ კომიტეტის წევრთაგანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ერთს რვა წლით და ერთსაც ხუთის წლით საᲕურობილეში დამწყვდევა; დანარჩენნი წევრნი გამართლდენ. მეფემ სიკვდილით დასჯი მაგივრად ათის წლით საᲕურობილეში დამწყვდევა გარდაუწყვიტა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ანამელებს და ჩინელებს განზრახვა Ჭქონდათ გაინტონგს დასცემოდენ, მაგრამ ფრანცუზებმა დაასწრეს, გამოვიდენ ქალაქიდამ და დაამარცხეს იგინი. ამ ბრძოლის დროს ფრანცუზებმა მტერს 150 კაცი მოუკლეს.

ᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘ. ახალმა ხორვატიის ბონნი, გრაფმა კიუნ-გედერარმა, დაიწყო თავის საქმეთა გამგეობა. ხორვატიის სეიმი 5 (17) დეკემბერს შეიკრიბება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

5 ᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ

Იყიდება ათვად მტკერის ნაპირზე ახალი ხიდის მახლობლად ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. Იქვე მიიღეს ბლომად: წისქვილები, ქაღალდი, კალმები, ჩაი, ბისკვიტი, კოვზები, ᲩᲜᲓᲚᲘᲐᲜᲘ დანები, 550 ინგლისური და ფრანცუზული კრაოტები ყმაწვილებისა და კაცებისა 7 მანეთი, ესე იგი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. მაღაზიას ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ არ შეგეშალოთ. (6—1)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ

სურს მოიᲕოᲕოს ᲣᲔᲓᲕᲘთ სახლი სალᲕათი Ეზოთი და 15 კან 25-დის ოთახით, რომელთა რიცხვში არა ნაკლებ ექვსის ოთახისა უნდა იყოს დიდი მოსწავლეთა კლასებისათვის. წარიდოᲛ ᲑᲘთი ანუ სიტუᲕიერი განცხადებით გასუᲤდᲕაზე უნდა მიიქცენ სასწავლებელის საᲓᲒᲝᲛში ელიზაᲕეტის ᲭᲣᲠᲩᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲐᲓᲔᲚᲝᲕის სახლში № 86. (4—4)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |